საქართველო, ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000066527700617

2200 ქ. ახმეტა, ... N48 Tel: +995 349 22 21 96; +995 349 22 15 ...
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 31 01 / მაისი / 2017 წ.

## განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფ. მატანში მდებარე, ყოფილი პროფ. ტექ. სასწავლებლის (ობიექტი პირობითი №15) 4227.0 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი - 50.11.36.050) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობისათვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის და ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გადაწყვიტა

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფ. მატანში მდებარე, ყოფილი პროფ. ტექ. სასწავლებლის (ობიექტი პირობითი № 15) 4227.0 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი - 50.11.36.050) ორი წლის ვადით სსიპ ეროვნული საშენი მეურნეობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, ალაზნის გამზირის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — თამარ ყურხიშვილი